კომუნისტი

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. ს., ბ., წ.-არმ. და მატრწასთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4, რედაქტორი დღეს ყოველ დღე [illegible] შუადღეზისა დან 12 ს.

ტელეფონები: სარედაქციო ოთახ. № 14—76 მდივანს № 19 საერ. №

№ 70 ოთხშაბათი, 29 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 29 მარტი 1922 წ. № 70

ადგილობრივ კომუნისტურ ორგანოებს

ადგილობრივ კომუნისტურ ორგანოებს

ადგილობრივ

ადგილობრივ

**ადგილობრივ

ზომები გაფიცვის თავიდან ასაცილებლათ და, თუ გაფიცვა მაინც მოხდა, მიიღოს ყოველი ზომა მის სალიკვიდაციოთ, მასებთან უნდა მივიდეთ ახსნა განმარტებით და უნდა ვიქონიოთ სათანადო ზეგავლენა.

ამ ამოცანების ნაყოფიერათ შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შეუწყვეტელი ორგანიული კავშირი გვექნება მუშათა მასებთან და თუ ყოველი ჩვენი მოქმედება დამყარებული იქნება მუშათა მასების თვითმოქმედებაზე, და გამომდინარე ამ თვითმოქმედებიდან.

აი ყველა ის ამოცანები, რომელთა განხორციელება მოუწევს პროფკავშირებს შექმნილ პირობებში.

კ. ოდილოვაძე.

საბჭოები და კოოპერაცია

ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, რევოლიუციისათვის სამარეთ გადაიქცევა, თუ ის გახანგრძლივდა და ის დროით არ გამოსწორდა. ნამეტურ ეს ითქმის სოფელზე,სადაც რევოლიუციის მოკეთეების და თავდადებულების გვერდით მისი მტრები და გამცემლებიც არიან. მაგრამ კრიზისის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლით, რევოლიუციის ამ მტრებსა და გამცემლებს, საზრდო ხელიდან უნდა გამოვაცალოდ და მათი საბუდრებიდან დროით უნდა ამოვაგდოთ.

ჩვენ ძალიან გვიყვარს იმით თავის მართლება და ეს თითქმის შაბლონათაც გადაიქცა, რომ კრიზისს საერთო მიზეზებით ვხსნით და ყოველგვარ გაჭირვებას საერთო ობიექტურ პირობებს ვაბრალებთ. ეს ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში არ არის საკმარისი. მართალია ობიექტიურ პირობებისა და საერთო მიზეზების უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ყველაფერიც მაა არ გადაბრალდება.

ავიღოთ მაგალითად სპეკულიაცია და მისი ბაზარზე გავლენა. უნდა ითქვას ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციები და მათ შორის კოოპერაცია თავის დანიშნულების სიმაღლეზე რომ იდგეს, მაშინ სპეკულიაციას ბაზარზე იმის ნახევარი გავლენაც კი არ ექნებოდა, რაც დღეს აქვს. ფულის კურსის ვაკანალიის დროს კოოპერაციამ სპეკულიაციას გასდია კუდში და მისი გავლენითა და კარნახით დაუყონებლივ მოახდინა მის განკარგულებაში მყოფ საქონლის გადაფასება. და რომ სპეკულიაციას ასეთი გავლენა დაუკარგოთ, რომ ბაზარზე „ბრძანებელი მაღლობი“ ჩვენ დავიკავოთ, ამისათვის საჭიროა, მშრომელი ხალხის ეკონომიური დარაზმვა და წმინდა ეკონომიური ხასიათის ბრძოლით ბაზრის დაპყრობა.

მე ამ ჟამად მინდა შევეხო ეკონომიურ დარაზმვის პროვინციაში და უმთავრესად სოფელში. ჩვენს სოფლებში აქა-იქ მართალია არსებობს სამოქალაქო კოოპერაცია, მაგრამ ის სრულებით არ წარმოადგენს მშრომელი ხალხის ეკონომიურ ორგანიზაციას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მისი დაპყრობა ჯერ არ მომხდარა, იქ ისევ ძველი ხალხია მოკალათებული, რომლებიც ისევ ძველებურათ კომბინაციებით და წმინდა ვაჭრული ხრიკებით ვაჭრობენ. მეორე მხრივ მრავალი სოფელი ასეთ კოოპერატივსაც მოკლებულია. ყოველივე ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ სოფელს ქალაქთან და ქალაქს სოფელთან ისევ და ისევ სპეკულიანტის საშუალებით აქვს დამოკიდებულება და სოფელი ისევ იცარცვება და იყვლიფება როგორც ყიდვის ისე გაყიდვის დროს.

საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის პირობებში შეუძლებელია ასეთი ანორმალობა შეწყნარებულ იქნას. სათემო საბჭოებმა, რომლებიც მოწოდებულია სოფლის ცხოვრების მოსაწესრიგებლათ, ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ და ან თვით უნდა ითავონ და ან ხელი შეუწყონ მთლიან მუშათა თუ გლეხთა კოოპერატივების გახსნას. ვფიქრობთ დროული და საჭიროველი იქნება, რომ სათემო საბჭოები ამ საქმისათვის გამოყოფდეს განსაკუთრებულ სექციას და დაავალებდეს მას დაკვრითი წესით ამ საქმეში მუშაობას. ახლავე უნდა დაარდეს საინიციატივო ჯგუფები და ახლავე უნდა დაიწყოს ამ მხრივ მუშაობა.

ვვახსოვდეს კარგათ, რომ ის რაც დღეს სპეკულიანტს მიუდის მოგებათ, ნახევარი რომ გლეხს დარჩეს და ნახევარი მუშას, გლეხსაც მეტი საშუალება ექნება თავის მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვისა და მუშასაც მეტი შესაძლებლობა საალმშენებლო მუშაობის წარმოებისა.

ეს დიადი და სერიოზული საქმეა და მას უეჭველად ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს.

გ. მებუკე.

ფითელი პრესა

ვიდგეთ სადარაჯოზედ!

როდესაც ბურჟუაზია დაჯინებით ლაპარაკობს ზავზე, იგულისხმე, რომ ის ამზადებს ომს. რომ ასეთი ფანდებით ის საზოგადოების ზოგიერთ წრეებს თვალებში სილას აყრის და აბრმავებს, ეს ცხადია. მაგრამ არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ ამით ის შეცდომაში ვერ შეიყვანს მათ, ვისაც საბუთი აქვს სათანადოთ დააფასოს ასეთი მისი „სამშვიდობო“ ლათაიები.

დღესაც, გენუას კონფერენციის მოლოდინში, რომელიც თითქოს მოწოდებული უნდა იყოს დასაწყისი მისცეს მშვიდობიან აღმშენებლობის საქმეს ევროპაში, საომარი მზადება არ სწყდება. საბჭოთა რუსეთი, რომლის წინააღმდეგ არის მიმართული ეს სამხედრო ჭაპანწყვეტა დიდი და პატარა ანტანტის, ანგარიშს უწევს მდგომარეობას და თავის თადარიგს იღებს ყოველი მოსალოდნელობის წინააღმდეგ. ამ სამზადისს, თავდაცვის მიზნით, სხვანაირათ აფასებს მოსყიდული კალამი ბურჟუაზიის და ხმა მაღლა გაჰკივის თავის უამრავ გაზეთებში, მკითხველი იფიქრებს, რაზე? იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთი ეფიქრებოდეს, ეს ცხადია. ეს ასეთი ფანდი ბურჟუაზიისა, ეს ასეთი ფანდი ბურჟუაზიისა, ეს ასეთი ფანდი ბურჟუაზიისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლები, განსაკუთრებით აბრამოვიჩისა, მკაცრად ეწინააღმდეგება მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტის მოთხოვნილებას საბჭოთა რუსეთის დახმარების შესახებ.

ემზადებიან გენუასათვის

ბერლინი. 10 მარტი. „ნოვი მირის“ ცნობებით, ბერლინის ყოფილ ფინანსიურ და ვაჭრობა-მრეწველობის მოღვაწეთა კავშირი, შეასრულა ცენტრის დავალება, მუშაობს რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მემორანდუმის შესადგენად. მთელი ეს მასალა დანიშნულია გენუის კონფერენციისათვის, რადგანაც კოკოვცევის და რიაბუშინსკის თანამოაზრეები ჯერ კიდევ არ კარგავენ იმედს იმის შესახებ, რომ ფინანსიურ და ვაჭრობა-მრეწველობის მოღვაწეთა კავშირი დაშვებული იქნება გენუის კონფერენციაზე. მემორანდუმის შესადგენად მუშაობს რუსი ეკონომისტები, როგორიც არიან პროფესორი კამინსკი. განზრახულია მოიწვიონ ფინანსიურ ვაჭრობა მრეწველობის საგანგებო ყრილობა ყოფილ რუს ფინანსისტების გენუის კონფერენციისადმი პოზიციის საბოლოოდ გამოსარკვევად.

ამერიკა და ევროპის საქმეები

ლონდონი. 12 მარტი. „ტაიმსი“ აქვ ყნებს წერილს ამერიკის ევროპის საქმეებისადმი, კერძოდ კი გენუის კონფერენციისადმი დამოკიდებულების შესახებ. ამერიკის მთავრობა უარს ამბობს გაგზავნოს დელეგატები გენუის კონფერენციაზე მთელ რიგ შინაურ პოლიტიკურ მიზეზების გამო, და აგრეთვე იმიტომ, რომ ამერიკას არ შეკითხებიან კანის გადაწყვეტილების მიღებამდე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. თვით გადაწყვეტილება ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ მოულოდნელი იყო ამერიკის პოლიტიკის ხელმძღვანელებისათვის. საერთოდ ამერიკის მიერ გენუის კონფერენციაზე მოსაწილეობის შესახებ უარის თქმა შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ნაირად: 1) სანამ საკანონმდებლო დაწესებულებებს ჯერ რატიფიკაცია არ მოუხდენიათ ვაშინგტონში დადებულ შეთანხმებებისათვის, ამერიკის მთავრობას უხერხულად მიაჩნია მიიღოს მონაწილეობა ახალ კონფერენციაში, რომელსაც მოყვება ახალი შეთანხმებები. 2) ამერიკის მთავრობას ამ ჟამად არ აქვს განზრახვა აღიაროს საბჭოთა მთავრობა, რაც შეიძლება შეიქნეს კონფერენციის შედეგად 3) ამერიკას სასურველად მიაჩნია ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ გაჯანსაღონ თავიანთი ეკონომიური ცხოვრება და შეძლების და გვარად შეამცირონ თავიანთი ხმელეთის და საზღვაო შეიარაღებული ძალები, რაც ხელს შეუწყობდა ევროპის მიერ ამერიკის ვალების გადახდას.

რუსეთის სახოფლო მეურნეობის აღდგენა

პარიზი. 14 მარტი. „მატენი“ გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ექსპერტებს არ მიაჩნიათ საჭიროდ მოსთხოვონ რუსეთს სოციალურ-და ეკონომიურ კანონმდებლობის სრული შეცვლა. ჯერჯერობით საკუთრების სრული აღდგენა, მის შემდეგ როდესაც 120 მილიონმა გლეხმა მიიღო მიწა, რომელიც ეკუთვნოდა მემამულეებს, დიდ მღელვარებას გამოიწვევდა რუსეთის გლეხ პროლეტართა შორის. ამის გამო, საფრანგეთის ექსპერტები ფიქრობენ, რომ საჭიროა რუსეთთან მთელ რიგ გრძელ ვადიან საჯარო ხელშეკრულებათა დადება, რომელიც მიანიჭებდა საკმაო გარანტიებს მრეწველებს.

დამოკიდებულია საფრანგეთის პოზიციაზე

მოსკოვი, 25 მარტი. რადიო. „დეილ ნიუსი“ 21 მარტის რიცხვით მოწინავეში არკვევს საკითხს გენუას შესახებ ჩიჩერინის უკანასკნელი ნოტასთან დაკავშირებით. „მიგვიყვანს გენუას კონფერენცია დადებითი შედეგებამდე, თუ გათავდება სამარცხვინო მარცხით, სწერს გაზეთი, ეს უმთავრესად დამოკიდებულია საფრანგეთის პოზიციაზე, უფრო კი პუანკარეს კომპრომისებზე რუსეთის ვალების საკითხის შესახებ. ჩვენ არ ვიცით პუანკარეს ბეშმარიტი განზრახვები, მაგრამ კარგია ის, რომ კონფერენცია, როგორც ჩანს, არ უნდა გადაიდვას განუსაზღვრელ დროისთვის არც სხვა რომელიმე ძიზეზებით.

იტალიის პოზიცია

მოსკოვი, 25 მარტი, რადიო. ლონდონიდან 20 მარტის თარიღით იტყობინებიან: იტალიის პალატამ ხმის უმეტესობით გამოიტანა ნდობის ვოტუმი, იტალიის საგარეო საქმეთა ministრის შანცერისადმი, მას შემდეგ, რაც მან წარმოსთქვა სიტყვა, მომავალ კონფერენციის შესახებ, შანსერმა სთქვა:

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რუსეთის დელეგატები მოვლენ აქ გულწრფელი სურვილით სხვა ერებთან თანამშრომლობისათვის. იტალიის მთავრობა დათანხმდა გახსნას კონფერენცია 10 მარტს თუმცა უფრო ხანგრძლივი ვადა სამზადისი მუშაობისათვის აქნებოდა იტალიისთვის უფრო კარგი.

ლლოიდ-ჯორჯი და გენუა

მოსკოვი, 25 მარტი, რადიო. ლიფილდიდან 21 მარტის რიცხვით იუწყებიან: „დეილ ტელეგრაფი“ გადმოგვცემს, რომ ლოიდ ჯორჯი გაემგზავრება გენუის კონფერენციაზე პრემიერ მინისტრის თანამდებობით და დარჩება იქ დაახლოვებით 2 კვირა გაზეთი დასძენს, რომ თუ ლოიდ ჯორჯმა გადასწყვიტა კიდეც მთავრობიდან გამოსვლა, ეს მოხდება არა ადრე, ვიდრე ლოიდ-ჯორჯი გააკეთებს ყველაფერს ევროპის ეკონომიური აღდგენისათვის თავისი გეგმის დასაცავად. ლოიდ ჯორჯის მიერ მიღებულია ყველა მისგ ნ დამოკიდებული ზომები, რათა კონფერენცია მივიდეს დადებითი შედეგებამდე.

ექსპერტის თათბირი რუსეთის შესახებ

მოსკოვი, 23 მარტი, რადიო. „დეილი ნიუსი“ 21 მარტის რიცხვით იუწყება: „მოკავშირე ექსპერტების გუშინდელი სხდომა საკვლევით ეხებოდა რუსეთის საკითხს. ინგლისის წინადადება იმაში გამოიხატება, რომ ის ვალები, რომლის ცნობას მოსთხოვენ რუსეთს, უნდა გადახდილ იქნან რუსეთის ახალი ვალდებულებათა მიხედვით რომლის თანახმად პირველი 5 წლის განმავლობაში პროცენტები არ იქნება აღებული. სხვა სიტყვებით, რუსეთს მიენიჭება 5 წლიანი მორატორიუმი. საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებს არ წარუდგენიათ არავითარი კონკრეტიული გეგმა. იაპონიის ექსპერტებმა მიიღეს უფრო აქტიური, ვიდრე ჩვეულებრივად, მონაწილეობა რუსეთის საკითხის შესახებ დებატებში, მათი განსაკუთრებული დაინტერესების გამო ციმბირის პრობლემაში.

განაპირა სახელმწიფოების კონფერენცია

მოსკოვი, 25 მარტი, რადიო. ჰელსინგფორსის გაზეთი „უსი სუომი“ 22 მარტის ნომერში ფინეთის პრემიერის სიტყვებით გადმოგვცემს, რომ განაპირა სახელმწიფოების კონფერენცია საეჭვოა რო შედგეს, კონფერენციის რიგაში მოწვევაზე ლატვიის მთავრობის უარის გამო. ფინეთის მთავრობა ვერ შესძლებს კონფერენციაზე მონაწილეობას, რადგან მისი ყურადღება საგსებით მიქცეულია გენუის კონფერენციისთვის სამზადისზე.

ფინეთ პოლონეთის კავშირი

მოსკოვი, 25 მარტი, რადიო. გაზეთი „ფინეთის სოციალდემოკრატი“ პროტესტს აცხადებს ფინეთ-პოლონეთის პოლიტიკური შეთანხმების წინააღმდეგ. გაზეთი სწერს, რომ უკვე ხელმოწერილ შეთანხმებაში, ლიტვა გამორიცხულია განაპირა სახელმწიფოების კავშირიდან, რაც წარმოადგენს ფინეთის ხალხისთვის, სამუდამო სირცხვილს. ვარშავის შეთანხმება მიმართულია არა მარტო ლიტვის, არამედ გერმანიის წინააღმდეგაც. გერმანიის დიპლომატია გამოიყვანს დასკვნას, რომ ფინეთის დიპლომატია უერთდება პოლონეთ-საფრანგეთის ორიენტაციას. პოლონეთთან კავშირი, გაზეთის აზრით ავნებს რუსეთთან დაწყებულ კარგ განწყობილების მაგვარებას, და საშიშია ფინეთის დამოკიდებულებისათვის. სოც. დემოკრატიული პარტიის მოვალეობაა მოუწოდოს ფინეთის ყველა მუშებს ბრძოლისაკენ ქვეყნის მშვიდობიან განვითარების საშიშროებასთან რომელიც მოაქვს პოლონეთთან კავშირს“.

ფითელ რესკუბლიკებში

რუსეთი

ფქვილის შესყიდვა საზღვარ-გარეთ.

მოსკოვი. 27 მარტი, (რადიო). ცენტრალურმა საავაჭრო განყოფილებამ მიაღწია შეთანხმებას საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან ტრესტების ცენტრალურ სამართველოებისა და წარმოებების საჭიროებისათვის უცხოეთში ერთ მილიონ ფუთი ფქვილის შესყიდვის შესახებ. აღნიშნულ ფქვილის შესყიდვა უცხო ბაზარზე სწარმოებს ცენტრალურ საავაჭრო

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმება.

მოსკოვი. 27 მარტი, (რადიო). მუშურ-გლეხურ ინსპექციის მოხსენებით რ. ს. ფ. ს. რ. დაწესებულებათა გადამსინჯველმა კომისიამ დაადგინა გაუქმოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი და გადაეცეს მისი ფუნქციის ნაწილები ჯანმრთელობის და შრომის კომისარიატებს.

გადასახადი კომუნალურ სამსახურისათვის.

მოსკოვი. 27 მარტი, (რადიო). პირველ აპრილიდან სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შემოღებულ იქნება გადასახადი კომუნალურ სამსახურისათვის გამოუკლებლივ ყველაზე ნაღდი ფულით. ამის გამო სახელმწიფოს მუშებსა და მოსამსახურეებს ძირითად სამუშაო ხელფასზე მიეცემათ მომატება.

ცეცხლი ელექტროსადგურში პეტროგრადში.

პეტროგრადი. 24 მარდი, (რადიო). გუშინ ღამით გაჩნდა ცეცხლი ელექროსადგურში. დაიწვა შენობის სახურავი. ჩანგრულ სახურავისაგან სრულიად დაფარულია მანქანები და განმანაწილებელი საფარი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ პირველათ ცეცხლი გაუჩნდა ტრანსფორმატორულ ნაწილს. სადგურის დაწვას არ მოუხდენია გავლენა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშაობაზე. მიღებულია ზომები დამწვარ სადგურის აღსადგენად. 48 საათის განმავლობაში განზრახულია აღადგინონ ელექტრონის ენერგიის მიცემა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის.

უცხოეთში ორთქლმავლების შეყიდვის გარშემო.

მოსკოვი. 27 მარტი, (რადიო). საზღვარ-გარეთის გაზეთებში გამოჩდა ცნობა იმის შესახებ, რომ პროფესორ ლომონოსოვის მიერ საზღვარ-გარედ შეკვეთილი ორთქლ-მავალები 2 ნახ. ჯერ მძიმეა იმაზე, რომელიც შესაძლებელია დაშვებულ იქნას რუსეთის რკინის გზაზე ხიდების მდგომარეობის გამო. ამის გამო მიმოსვლის საქმეთა მთავარმა კომისარმა განაცხადა: ახალი ორთქლმავალები აგებულია სწორედ რუსული გეგმის მიხედვით და წონით და კონსტრუქციით სრულიად ემსგავსება იმავე ტიპის საუკეთესო რუსულ საბარგო მატარებლის ორთქლმავალს, რომელიც შენდებოდა რუსეთში 1912 წ. და შემოწმებულია მიმოსვლის კომისარიატის უმაღლეს ტეხნიკურ კომიტეტის მიერ. ზოგიერთ ხაზებზე ეს ორთქმავალები ხიდების სიძველის გამო არ იხმარებოდენ. ეს შეზღუდვა ვრცელდებოდა სხვათა შორის ნიკოლოზის რკინის გზაზედაც, სადაც იყო რამოდენიმე ძველი ხიდები. მაგრამ ამ ჟამად პროფესორ ბელელიუბსკის მიერ დაოვალიერების შემდეგ, ეს შეზღუდვა იქაც კი მოიხსნა. ახალმა ორთქლმავალებმა დიდი სამსახური გაუწიეს თესვის კამპანიას და დ-მშეულთათვის ტვირთის გადატანას, რაც ძლიერ არ მოსწონთ ჩვენ მტრებს. მიზანი ამ მორიგი სიცრუისა, რომელიც გაძლიერებულად ვრცელდება ამერიკის წრეებში, სრულიად ცხადია. მათ სურთ ხელი შეუშალონ ამერიკაში დამშეულთა შესახებ აგიტაციის გავრცელებას, და ამით მოსპონ საშუალება დამშეულ გუბერნიებში სურსათის მოტანისა, რომ ამით რუსეთის ტრანსპორტის უმწეო მდგომარეობით გაიმხნეონ თავი გენუის კონფერენციაზე.

პროცენტების გადარიცხვა დამშეულთათვის.

მოსკოვი. 27 მარტი, (რადიო) ს. ვ. კ. ც. ს. სპეციალურ ცირკულიარით მიმართა კავშირის ყველა ორგანიზაციებს გაატარონ პროცენტების გადარიცხვა დამშეულთა სასარგებლოდ პროგრესიულ დაბეგვრის პრინციპით.

შიმშილობა რუსეთში.

გირვანქა ვერცხლი.

მოსკოვი. 25 მარტი, რადიო. ომამდი ერთი გირვანქა ვერცხლი ღირდა 25 მანეთი. თუ ვიანგარიშებთ რომ თითო ვერცხლის მანეთით შეიძლება ერთი ფუთი პურის ყიდვა და რომ თითოეული დამშეულის გამოსაკვებად ახალ მოსავლამდი დარჩენილ 5 თვის განმავლობაში საჭირო იქნება მაქსიმუმი 5 ფუთი პური, მივიღებთ, რომ თითოეული გირვანქა ვერცხლს შეუძლია გადაარჩინოს სიკვდილისაგან 5 სულისაგან შემდგარი ოჯახი. მიეშველთ დამშეულებს!

იდუმალი მგზავრები.

მოსკოვი. 25 მარტი, რადიო. 8 მარტს, სადგურ ილაზე, სამარიდან გამოსულ მატარებელში, ადგილობრივ რკინის გზის „ჩეკას“ აგენტებმა მიაქციეს ყურადღება სამ მგზავრს, რომლებსაც მოჰქონდათ 4 ადგილი მძიმე ტვირთი. მგზავრების დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ, ბარგი გახსნეს „ჩეკის“, აგენტებმა. ყუთებში აღმოჩნდა საგანგებოდ ჩალაგებული 6 ფუთი ოქროს და ვერცხლის დისკოსები, ჯვრები, საკმევები, და სხვა ეკლესიის ძვირფასი ნივთები. აღმოაჩინეს აგრეთვე ოქროს ფულის დიდი რიცხვი. დაკითხვაზე იდუმალ მგზავრებმა წარმოადგინეს საბუთები, რომლიდანაც სჩანს, რომ ორი მათგანი რიბაკოვი და სმირნოვი არიან სამარის გუბერნიის მღვდლები, გორბუნოვი—იმავე გუბერნიის საეკლესიო საბჭოს წევრი. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ უწმიდესი კამპანია მიემგზავრებოდა მინსკში, საიდანაც იმედი ქონდა ძვირფასეულობის საზღვარგარეთ გადაგზავნისა. ამ საქმის გამოძიებას აწარმოებენ სამარის იუსტიციის ორგანოებში. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღმოაჩენენ მღვდლების დიდ ორგანიზაციას ადგილობრივ კულაკების საეკლესიო საბჭოს წევრებისაგან შემდგარს, რომელიც სისტემატიურად ყიდულობს დამშეულ გუბერნიების ეკლესიის ოქროვერცხლს და გადააქვს ის საზღვარგარეთ.

დამშეულ ადგილებზე.

მოსკოვი. 25 მარტი, რადიო. მოსკოვში ეხლა იმყოფებიან დამშეულ სამარის და ყაზანის გუბერნიებიდან დელეგატები. ისინი ჩამოვიდნენ დახმარების დაჩქარების სათხოვნად დამშეულ გუბერნიებისთვის, თვით მათ განუცდიათ შიმშილის საშინელება და მოგვითხრობენ: „სამარის გუბერნიაში ჩვენ პური სულ არ მოგვეპოება. იყო ლენცოფას და არყის ხის მარაგი და ისიც შესჭამეს. უფრო შეძლებულთ აქვთ კოპტონი (გამონახადი). დანარჩენები იკვებებიან მხოლოდ დამპალი ჩალით, რომელსაც გლეჯენ სახურავებიდან და ნაყარნუყარით, რომელთაც არავითარი მასაზრდოებელი ნივთიერება არ გააჩნია. სამარის, ბუზულუკის და პუგაჩევის მაზრებში—ყველაზე მეტი შიმშილია. იქ შესჭამეს ყველა ძაღლები, კატები და მძორი; და ადამიანის შეჭმის შემთხვევები მრავლდება. სჭამენ გვამებს. სამოც წლის მოხუცს მოუკვდა შვილი და მოხუცმა ის შესჭამა, ხალხი დაწოწიალობს როგორც აჩრდილი. სივდებიან და ეცემიან სადაც შეხვდებათ“. „მოგვიხდა გარება ყაზანის გუბერნიაში, მოგვითხრობს მეორე დელეგატი, ქოხში 5 სული წაქცეულან და კვდებიან. სოფლებში სადაც იყო 700 კომლი, დარჩა 78—80; ყველანი გარბიან. ბავშები მოყავთ საბჭოთა სასადილოებში, სადაც მათ პატრონები ძალად სტოვებენ.

რუსეთ ამერიკის ორგანიზაციის და ცენტრის დახმარება უმნიშვნელოა. სვიანის მაზრაში 150,000 მცხოვრებლებიდან დახმარების კომიტეტი და რუს. ამერიკის ადმინისტრაცია იძლევიან ულუფას 48,000 კაცისთვის, ბავშვების, ინვალიდების და მოხუცთათვის. დანარჩენი 70 პროც. დამშეულია და ყოველ დახმარების გარეშე იმყოფება. არსკის მაზრაში 410,000 კაცია, მათ შორის ულუფა ეძლევა 10,500 კაცს. ამერიკა რუსეთის დამხმარე ადმინისტრაცია აძლევს 82,600 ულუფას ბავშვებს. სვიაჟის მაზრაში მონასტრებიც არის, მათ არავითარი დახმარება არ გაუწევიათ ჯერჯერობით დამშეულთათვის. „თუ გვიბრძანებენ — მივსცემთ“—ამბობენ მონასტრებში. დელეგატები დაჟინებით მოითხოვენ საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევას.

ქაპიტალიზმის სამეფოებში

გადასახადთა წნეხი

ბერლინი. 24 მარტი. (რადიო) სოციალ დემოკრატები გაბედულად იცავენ, რომ გერმანიის გადასახადთა ტვირთმა მიაღწია უკიდურეს ფარგლებს. „ფორვერტსის“ და „ფრაიჰეიტის“ აზრით, ახალ გადასახადთა პროექტი შეუძლებელია: რეიხსტაგი არას დროს არ დაამტკიცებს მას.

მოლაპარაკების შესაძლებლობა

ნაუენი, 24 მარტი, რადიო. „ფორვერტსი“ მაინც იმ აზრისაა, რომ მოლაპარაკება გერმანიასა და ანტანტას შორის შესაძლებელია, რადგან საკონტრიბუციო კომისიის ნოტას არა აქვს ულტიმატიური ხასიათი. კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე“ აცხადებს, რომ მთავრობის პოლიტიკას დალუპვისკენ მიჰყავს გერმანია, და ესალმება მთავრობის გადასახადთა სისტემის პოლიტიკას. გაზეთს იმედი აქვს, რომ ხელისუფლება გადავა მუშათა პარტიის ხელში, რომელიც საბჭოთა რუსეთთან და საერთაშორისო პროლეტარიატთან შეთანხმებით ბოლოს მოუღებს ანტანტას მოთხოვნებს.

ალელვება საფრანგეთში

ნაუენი, 24 მარტი. რადიო. საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელი დადგენილება დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს საფრანგეთის საზოგადოებრივ წრეებში. „ვიკტუარი“ გაბედულად აცხადებს, რომ საფრანგეთსა და ბელგიას მეტი მოთმენა აღარ შეუძლიანთ მთელი მსოფლიო ბილიტარიზმს უკიჟინებს საფრანგეთს, მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ არ არსებობს სეთი ძალა, რომელიც დაუშლის ამ ორ უფრო დაინტერესებულ სახელმწიფოს კონტრიბუციის გადახდის მოთხოვნას. „ჟურნალ დე დებას“ აზრით, საკონტრიბუციო კომისიამ დაამტკიცა, რომ მოკავშირეთ შეუძლიანთ ისარგებლონ ყველა იმ უპირატესობით, რომელსაც მათ აძლევს ვერსალის ხელშეკრულობა. „პტი პარიზიენი“ დამამშვიდებელ კილოზე სწერს და იმედს გამოსთქვამს, რომ კანცლერი ვირტი მოლაპარაკებას გამართავს მოკავშირეებთან უკანასკნელ ნოტის დეტალებზე.

ბერლინი. 24 მარტი. რადიო. ბელგიელ და გერმანელ პოლიციელ ოფიცრებს შეტაკება მოუხდათ. ბელგიელმა პოლიციელმა ოფიცერმა პირადობის მოწმობა მოსთხოვა გერმანელს, რომელმაც პასუხად რევოლვერი ესროლა და მოკლა ბელგიელი.

სოციოლოგია რუსეთში

ცირკულიარი ეკლესიების განძეულობის ჩამორთმევის შესახებ.

მოსკოვი. 27 მარტი, (რადიო). გამოცემულია ცირკულიარი, რომელიც აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პროვინციალური გაზეთები საეკლესიო ქონების ჩამორთმევის კამპანიას უკავშირებენ ანტირელიგიოზურ აგიტაციას და პროპაგანდას. ასეთი აგიტაცია ეხლანდელ მომენტში, ეჭვს გარეშეა, დაუშვებელია. საეკლესიო ქონების ჩამორთმევის ჩატარებას არავითარი ანტირელიგიოზური სარჩული არ უნდა დაედვას. მომენტის ამოცანაა, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩატარდეს საეკლესიო ძვირფასეულობის ჩამორთმევა, რომელის დროს უნდა დასაბუთებულ იქნას, რომ ჩამორთმევა ეკლესიისთვის არა საჭირო და ზედმეტ განძეულობისა არ ეწინააღმდეგება რელიგიოზურ რწმენას, არ შეურაცყოფს რელიგიოზურ გრძნ ბებს და არ ამცირებს რელიგიის მნიშვნელობას; პირიქით ზედმეტ ძვირფასეულობის გადაცემა შიმშილისაგან მომაკვდავ ძმებისთვის სავსებით შეეფერება რელიგიის მოთხოვნილებას, გამომდინარეობს რელიგიიდან ტ ეს უკანასკნელიც სწორეთ ამას მოითხოვს. ზოგიერთი მღვდელთ-მთავრები და მღვდლები დამშეულთა სასარგებლოდ განძეულობის გადაცემას — სთვლიან თავის მოვალეობათ და მორწმუნეთა რელიგიოზურ ვალად. ართმევს რა ეკლესიას მისთვის არა საჭირო და ზედმეტ განძეულობას, საბჭოთა რუსეთი ამით ემსახურება ერთერთ მიზანს—დამშეულთა გადარჩენას. არავითარი სხვა მიზნები მას არა აქვს. მორწმუნენი კაცთმოყვარეობის გრძნობით ვალდებულნი არიან დაეხმარონ საბჭოთა მთავრობას დამშეულთა გადარჩენაში.

კიევის ლავრის ხიმდიდრე

ხარკოვი, 25 მარტი, რადიო. კიევი პეჩერსკ-ლავარს თავისი ამოუწურავი სიმდიდრით, კომპენტენციური პირების აზრით შეეძლო გამოკვება არა ერთი ათეული დამშეულებისა. ამ საკითხზე კიევის პრესის წარმომადგენლებმა მიმართეს მიტროპოლიტ მიხეილს როგორც წარმომადგენელს ყოფილ სამღვდელოებისა უკრაინაში, რომელიც ამჟამად იმყოფება კიევში. მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ დამშეულთა დახმარების საკითხზე ის უშვებს სპეციალურ მოწოდებებს. სამღვდელოებისადმი და მოუწოდებს ყველა მართმადიდებელთ შემოწირულებისაკენ.

მიტროპოლიტი შესაძლებლად თვლის, რომ იქნას შეწირული ზოგიერთი ძვირფასეულება, რომელსაც უახლოესი კავშირი არა აქვს წმინდა საიდუმლოებასთან.

ამხ. კალინინი საეკლესიო განძეულის ჩამორთმევის შესახებ.

მოსკოვი. 27 მარტი. რადიო. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის და დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა გაზეთების თანამშრომლებთან საუბარის დროს განაცხადა: „დეკრეტი საეკლესიო განძების ჩამორთმევის შესახებ გამოიცა დაშშეულ გუბერნიების გლეხების და უპარტიო წითელ არმიელთა ფართე მასების ინიციატივით. შიმშილი იმდენად უზომოა და ჩვენი საღსარი იმდენად მცირეა, რომ გასაკვირველი არაა, რომ მრავალ მილიონიანი მასები ყველა მხრიდან მოითხოვენ დეკრეტის სრულს და მტკიცე შესრულებას. ამ დეკრეტმა დაიმსახურა თანაგრძნობა მორწმუნეთა უმეტესობისა, რომელთაც მრავალ განცხადებებში გამოსთქვეს სურვილი, რომ ეს დეკრეტი რაც შეიძლება ჩქარა გატარებულიყო ცხოვრებაში. დეკრეტის წინააღმდეგ გამოილაშქრა „ეკლესიის მთავართა“ პატარა ჯგუფმა, მათმა მომხრე ვაჭრებმა, იჯარადრებმა და სამსახურს გარეშე მყოფმა მოხელეებმა, რომელნიც წინამძღვრობენ მორწმუნეთა მთელ ჯგუფებს. განძეულობის ჩამორთმევა არას დროს არ მოასწავებს ბრძოლას სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. დამშეულთა დახმარების ც. კ. მზადაა შემწეობა გაუწიოს მორწმუნეთ ამა თუ იმ საეკლესიო საგნების შეძენაში ნაცვლად ჩამორთმეულ განძებისა. სრულიად დაუოკიდებლად სარწმუნეობის საკითხისგან, სამღვდელოება განძეულობის ჩამორთმევის საკითხში აშკარად გაიყო ორ ჯგუფად: ერთს საჭიროდ მიაჩნია დახმარება ალმოიჩინოს დამშეულ ხალხს იმ საეკლესიო განძეულობიდან, რომელიც შეწირული აქვს თვით ხალხს, და მეორე აშკარა ანტი-ხალხური, ხარბი და მტაცებელი—წინააღმდეგია ვოლგის მხარის შიმშილობისაგან მომოკვდავ გლეხკაცობის დახმარების ალმოჩენისა. ამ მეორე ჯგუფმა, ძლიერ უმნიშვნელომ, დაიკავა რა მტრული პოზიცია დამშეულ გლეხობის მიმართ, ამით მან გაილაშქრა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგაც ამბობს რა უარს დამშეულთა დახმარებაზე სხვა და სხვა ფარისევლური და ყოველგვარ კაზუისტური ხრიკიანობის ქვეშ, სამღვდელოების მმართველი ნაწილი ამავე დროს ეწევა აშკარა ბოროტ ანტირევოლიუციონურ აგიტაციას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

კონტრ-რევოლიუციონერების ბოროტ მოქმედების და განცხადების საპასუხოდ, ადგილობრივი ორგანოები შეგროვებულ საეკლესიო ქონების კონტროლის და აღრიცხვისათვის იწვევენ, როგორც ლოიალურ მღვდლებს, ისე მორწმუნე პირებს. არ ერევა რა წინანდებურად ეკლესიის საქმეებში, საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს იმას, რომ ეკლესიის თავადების ჯგუფმა, რომელიც მოქმედებდენ მეფესთან, მის მინისტრებთან, მემამულეებთან, აზნაურებთან და კაპიტალისტებთან ერთად, რომ ეხლა მან აწარმოოს აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ბრძოლა მუშების და გლეხების მთავრობის წინააღმდეგ.

მეფის, მემამულეების და ბურჟუაზიის მთავრობა ჩამოგდებულია მშრომელი ხალხის მიერ, არა იმისთვის, რომ ნება დართონ ეკლესიის თავადებს დაარღვიონ საბჭოთა კანონები. ეს კანონები გამოცემულია რამდენიმე მილიონ დამშეულ ვლეხების და მათი ბავშვების ცხოვრების გადასარჩენად.

თესვის კამპანია

ავსტრალიის ხორბლის დანაწილება.

ცენტრო-თესვის ცნობებით, ავსტრალიის ხორბალი საზღვარგარეთიდან მიღებული, უკვე გადატანილია მაზრის ცენტრებში და დარიგებული რაიონებში შემდეგი წესით: სილნაღის მაზრა—2,961 ფ., თელავის მაზრა—1,961 ფ, თიონეთის—1,929 ფ., ბორჩალოს—5,945 ფ., თბილისის—3,000 ფუთი, დუშეთის—1,920 ფ., გორის—3,954 ფ., ცხინვალის—1,930 ფუთი, ახალქალაქის 2,994 ფუთი, ახალციხის—2,011 ფ., ბორჩალოს—3,002 ფუთი, რაჭის—1,915 ფ., ლეჩხუმის—1,023 ფ., ქუთაისის—1,984 ფ, სენაკის—1,992 ფ., ზუგდიდის—1,920 ფ., ოზურგეთის—2,974 ფ, ამას გარდა მიეცა დუშეთის თესვის კომიტეტს 500 ფუთი ქერი; დამატებით მიეცა გორის თესვის კომიტეტს ერთი ვაგონი ხორბალი, ახალქალაქის მაზრაში გაგზავნილია კიდევ ერთი ვაგონი ავსტრალიის ხორბალი. შორაპნის მაზრამ მიიღო დამატებით კიდევ 1 ვაგონი ავსტრალიის ხორბალი, და რაჭის მაზრამ ერთი ვაგონი სათესლე სიმინდისა, და აგრეთვე გაგზავნილია ლეჩხუმის მაზრაში ერთი ვაგონი ავსტრალიის ხორბალი. ამის გარდა რაჭის დაწესებულებებს—მიწად მოქმედების საბჭოთა მეურნეობებს და კომუნებს მიეცა 4,305 ფუთი ავსტრალიის სიმინდი. სულ, მაზრებში დანაწილებულია 44,920 ფუთი ავსტრალიის ხორბალი და დამატებით გაცემულია 1000 ფუთი ქერი, 3 ვაგონი სათესი სიმინდი, და ორი ვაგონი ავსტრალიის ხორბალი.

ᲥᲘᲠᲥᲜᲘᲡ ᲓᲘᲜᲯᲘᲗ

— მალიარიასთან ბრძოლის ორგანიზაცია. ამ დღეებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ ეპიდემიურ განყოფილებასთან ექიმ ნაზარეტიანის თავმჯდომარეობით შესდგა ორჯერ თათბირი ამერკავკასიის მასშტაბში მალარიასთან ბრძოლის ორგანიზაციის შესახებ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდენ ცალკე კავკასიის ლაშქრის სანიტარული ნაწილის და ამერკავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წარმომადგენლები. ამ დღეებში მოელიან აზერბეიჯანის და სომხეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებს, რომელთა ჩამოსვლის შემდეგ გამომუშავებული იქნება მუშაობის გეგმა მალიარიასთან ბრძოლის მოწყობისა, ჯერ-ჯერობით კი, არჩეულია კომისია, რომელსაც დაევალა საჭირო მასალების შეგროვება და პროექტის შემუშავება ამერკავკასიის მალარიის საწინააღმდეგო კომიტეტის დებულებაზე.

— ქ. თბილისის მცხოვრებლების აღწერა გადადებულია ამ წლის ბოლოსთვის.

— ფასების შემცირება შენახვისთვის. განკარგულების შესაცვლელად 14 მარტიდან დიდი და სამგზავრო სიჩქარის ბარგზე და საქონელზე გადასახადი შენახვისთვის ერთი დღე და ღამის განმავლობაში ცალკე ადგილიდან ვეიერება 10 000 მანეთი.

— კავკასიის ფუტკრის მოშენება. ოლოის სახალხო სარძეო მამულთან (თბილისთან) ეწყობა კავკასიის მთის ჯიშის დედა ფუტკრების მოშენება (ხატრის ფერი ფუთკარი). ეს ერთადერთი საშუალება იქნება ამ ძვირფას ფუტკრის მოშენებისა.

— მაძებარი ძაღლები. მილიციის მთავარ მმართველობას ცენტრალურ სისხლის სამართლის გამომძიებელი განყოფილება შეუდგა მაძებარ ძაღლების მოშენებას.

— წარმოდგენა დამშეულთა დასახმარებლად. მუშაობა და კულტურა-ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებული დამშეულთა დამხმარე კომისია 7 აპრილს ამა წელს სდგამს სახელმწიფო თეატრში ოპერა „ისაკატელი ებრაელი“-ს. კომისია მოუწოდებს მოქალაქეთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ფრიად მეშვნელოვან საქმეში, როგორც წარმოდგენაზედ დასწრებით, აგრეთვე შემწეობით.

„სულიდან საფლავები“. რედაქციამ ძველი პოეტ ტერენტ გრანელის ლექსთა კრებული: „სულიდან საფლავები“ კრებული შეიცავს 31 ლექსს და ლამაზადაა გამოცემული, ღირს 15000 მან.

— სიმინდის დამზადება. სახალხო სასურსათო კომისარიატმა მზადგომლობა აღძრა აფხაზეთის რევკომისწინაშე, რათა ნება დართოს საქართველოს ცალკე შეერთებულ ბრიგადას, დამზადოს სამურზაყანოს რაიონში 2 ვაგონი სიმინდი.

— სასურსათო გადასახადი გორის მაზრაში. სასურსათო მუშაობის გასაცხოველებლად და გადასახადის დროზე ასაკრეფად სახალხო სასურსათო კომისარიატმა გორის მაზრის სასურსათო მუშაკთა შტატი გაამლიერა და იქ უკვე გაგზავნა რწმუნებულნი ინსტრუქტორები. ამას გარდა კომპარტიის ცეკას მიერ გორში გაგზავნილ ამხ. ცაგარელს სასურსათო კომისარიატმა საგანგებო მინდობილობანი მისცა გადასახადის აკრების საქმეში.

— ტყვეებულის მუშათა კოოპერატივის ფონდი. სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, მისცეს ტყვეებულის მუშათა მთელიან კოოპერატივს 50 მილიონის მანეთის საქონლის ფონდი.

— წარმოდგენა რუსთაველის თეატრში. ხუთშაბათს მარტის 30 ს პირველად უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში დადგმულ იქნება ცნობილი პიესა ვ. ჩიჩენტე მონტისა „კაი გრახკი“. დადგმა მინდობილი აქვს რეჟისორს კ. ანდრონიკაშვილს. „კაი გრახკი“-ს როლს შეასრულებს იუზა ზარდალიშვილი. დადგმაში შეტანილია ბევრი ახალი ნიუანსები და მიმდინარე რეპერტუარში ეს პიესა დიდ მხატვრულ მოვლენად ჩაითვლება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘ № 148

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს, რომელნიც მუშაობენ სახალხო სწავლა-განათლების ორგანოებში.

ძვირფასო ამხანაგებო!

რამდენიმე თვის უკან მოხდა ხელოვნების და განათლების მუშაკთა კავშირების შეერთება. ამ გაერთიანებულ კავშირის მოწყობა ხდებოდა მეტად მძიმე პირობებში, იმის გამო, რომ იმ სოციალურ ჯგუფის შემადგენლობა, რომელსაც უნდა მოეხდინა კავშირების გაერთიანება, იყო უმთავრესად ინტელიგენტური და უსიცოცხლო. განათლების მუშაკთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა და კავშირში შოვინისტური ელემენტების არსებობა, რომლებმაც მიზნად დაისახეს მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანა, კიდევ უარესად აბრკოლებს კავშირის ბუნებრივ, ნორმალურ განვითარებას და მის მუშაობას.

განათლების მუშაკები უმთავრესად დეკლასიური ინტელიგენტებია, გონებრივად და კულტურულად დაკავშირებულნი კაპიტალისტურ საზოგადოებასთან, მაგრამ სოციალურად ისინი არ არიან დაინტერესებულნი მის დაბრუნებაში, და ამიტომ ჩვენ

1. ადგილობრივი სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებათათვის, (როგორც არის მაგ.: საავადმყოფო, სანატორიუმი, საჯანმრთელო და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულება, ბაგა, დედათა და ბავშვთა სახლი, სანიტარული განათლების დაწესებულება და სხვ.), სამეურნეო და მატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა, რომელსაც შეადგენს: სადგომის დაქირავება, გათბობა-განათება, წყალი, მიმდინარე რემონტი, სისუფთავის დაცვა, საკანცელარიო ხარჯი, თეთრეული, სამეურნეო მოწყობილობა, თეთრეულის გარეცხვა და წვრილი სამეურნეო ხარჯი.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა (სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი: კურორტები, მაჩვენებელი მეცნიერული კვლევისა, საგზაო, წყალთა, რკინისგზისა, სამხედრო, საპატიმრო, საპროტეზო ქარხანა და სანიტარული განათლებისა,—რომელთა განსაკუთრებული სია დამტკიცებული იქნება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ,—და სამედიცინო გამომცემლობა) რჩენა შენახვა მიღებულ უნდა იქნეს მთლად სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

3. რჩენა-შენახვა იმ სამკურნალო სასანიტარო დაწესებულებისა, რომელიც სამსახურს უწევს მხოლოდ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების ფაბრიკა ქარხნების მუშა-მოსამსახურეთ, მიიღება სრულიად სახელმწიფო ხარჯზე; ხოლო ავადმყოფთა შინა-სამაზრო ტრანსპორტი—ადგილობრივ ხარჯზე, ანუ ადგილობრივ კურორტზე გადაყვანისა სანიტარული მატარებლით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **კუბაიძე.**

კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მარტის 20.

ტფილისი—სასახლე.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 2.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, როგორც დამოუკიდებელი კომისარიატი, და ყველა მისი განყოფილებები შეუერთდეს შრომის სახ. კომისარიატს და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს კუთვნილებისამებრ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

(ს. ა. კ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მარტის 27.

ტფილისი—სასახლე.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲚᲐᲓ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲣᲡᲐᲗᲣᲚᲝ ᲨᲔᲣᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5).

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 30 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲓᲦᲘᲗ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

ს. ს. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ამავე კომისარიატისათვის ხორცის მიწოდების შესახებ. საჯარო პირობების გაცნობა შესაძლოა ყოველ დღე სახ. სას. კომისარიატის მომარაგების განყოფილების მმართველთან 9—3 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთათვის სავალდებულოა საწინდრის 20.000.000 მანეთი შეტანა სახ. სას. კომისარიატის საღაროში არა უგვიანეს 29 ამა მარტისა.

ს. ს. ს. რ. სახ. სას. კომისარიატი.

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ეღირება 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ეღირება თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ეღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ.

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ყველა ის მოქალაქეები, რომლებიც უკვე აწარმოებენ ვაჭრობა-მრეწველობას და ამა წლის ხუთ აპრილამდის არ აიღებენ ამის კანონიერ უფლებას, თანახმად ა. წ. 14 იანვრიდან თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის № 1 სავალდებულო დადგენილებისა, **5 აპრილიდან სრულიად კარგავენ ქალაქის ფარგლებში ვაჭრობის უფლებას და მათ სასწრაფო წესით ჩამოერთმევათ მაღაზიები ახალ მოიჯარადრეებზე გადასაცემათ, იქ აღმოჩენილი საქონელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბინაო ჭირის გასანაღდებლად, ხოლო თვით დამნაშავე ვაჭარ-მრეწველები დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველოს განყოფილების გამგის ხელისუფლებით — 6 თვემდე გამასწორებელ სახლში მოთავსებით ან 25 მილიონი მან. დაჯარიმებით.**

თბილ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

3 რაიონზე მიმაგრებულ ამხანაგების საყურადღებოდ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-3 რაიონული კომიტეტი ამით წინადადებას აძლევს, იმ ქვემო აღნიშნულ ამხანაგებს, რომელნიც მე-4-ე რაიონიდან მიმაგრებული არიან მე-3 რაიონზე, გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში იმ ადგილებზე, სადაც ისინი მიწერილნი არიან.

სია გამოუცხადებელ ამხანაგებისა:

1) გრიგორი ზახარიანი, 2) ვლადიმერ ჯანანი, 3) ვლადიმერ კობახიძე, 4) ეკ. კონსტანტინოვიჩი, 5) ვართან მარკარიანი, 6) დ. ტერ-აბრამიანი, 7) გიორგი ხაჭაპურიძე, 8) ირაკლი ხომერიკი, 9) სტეფანე სტეფანოვი, 10) ნინა ათანასიევა, 11) ილია წივწივაძე, 12) გ. პეტროსოვი, 13) თეიმურ ალიევი, 14) ლ. ლომთათიძე, 15) ევ. კაფაროვა, 16) კარა აჯი, 17) ნერსეს ნერსესიანი, 18) ალი იუსუფოვი, 19) ვართან პეტროსიანი, 20) სერგო თავალოვი, 21) ნ. ბლაგონრავოვისა, 22) მ. კარგანოვა, 23) ა. ქავთარაძე, 24) ს. მურმანოვი, 25) თუთულჯიანი, 26) ვ. მანველიანი, 27) ვაგნაძე გ., 28) ი. ტერ-აკოპოვი, 29) ვარაძე, 30) ბაშინჯაგიანი, 31) ალექს. ბეჟანოვი, 32) ოგორორდნიკოვი, 33) ჩიტაფიანი.

მე-3 რაიონული კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲐᲓ „ᲒᲐᲜ-ᲜᲐᲜ“-Ს

გაზეთ „კომუნისტ“-ში № 68 დაბეჭდილია წერილი ვინმე „განნარი“-ს „კოოპერატივ „ერთობის“ შესახებ, სადაც სხვათა შორის ლაპარაკია ცეკავშირის გულგრილობაზე კოოპერატიულ მშენებლობის საქმეში. თბილისის რაიონის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორთა კოლეგიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი:

1. თბილისში და მის რაიონში არსებული კოოპერატივები შედიან თბილისის რაიონის კოოპერატივთა კავშირში, რომლის საინსტრუქტორო განყოფილებას და არა ცეკავშირისას პირდაპირ ევალება საინსტრუქტორო და სარევიზიო ფუნქციების შესრულება თბილისში და მის რაიონში თანახმად კოოპერაციის მშენებლობისა საქართველოში.

2. არ არის მართალი ის თითქოს კავშირი „შამინაცვლური თვალით“ უყურებდეს კოოპერაციის საქმეს და კერძოთ „ერთობის“ ბედს. სულ ახლო წარსულში, სახელდობრ 9 მარტს, მოხდა ნაწილობრივი რევიზია აღნიშნულ კოოპერატივისა. (იხ. აქტი 9 მარტის თარიღით, რომელიც ინახება კავშირისა და კოოპერატივ „ერთობის“ საქმეებში). რაც შეეხება სრულსა და ფაქტიურ რევიზიას „კოოპერატივ „ერთობისას“ ამის შესახებ კოლეგიას აქვს გამოტანილი შესაფერისი დადგენილება. (იხ. ოქმი № 6 ინსტრუქტორთა კოლეგიისა).

ფაქტიური რევიზია ჯერ არ დამთავრებულა. რევიზიის დასრულებისას საინსტრუქტორო განყოფილება თუ საჭირო იქნება პრესის საშუალებითაც გააცნობს საზოგადოებას საქმის ნამდვილ ვითარებას. თუ რაიმე ცნობები აქვს ამხ. „განნარს“ ვთხოვთ მობრძანდეს კავშირის არა საკოოპ. განყოფილებაში.

თბ. რაიონის კოოპ. კავშირის ინსტრუქტორთა კოლეგიის მდივანი: **ნ. კეპალაძე.**

ᲧᲝᲤᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲙᲐᲢᲝᲠᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲒᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ

19 მარტს შესდგა საერთო კრება ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გაზაკიძე, მდივნობდა ამხ. ნოვიკოვი.

დღის წეს-რიგი იყო შემდეგი:

1. ორგბიუროს წარსულ მოქმედების ანგარიში.

2. მომავალი მუშაობის გეგმა.

3. საზოგადოების საბჭოს არჩევნები.

მოხსენება პირველ და მეორე კითხვაზე გააკეთა ორგბიუროს მდივანმა ამხ. ვოდოლაზსკიმ.

ორგბიუროს წარსული მუშაობა გამოიხატა საიუბილეო საღამოს მოწყობაში, რომელიც გამართულ იქნა 11 მარტს თებერვლის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად, კრებულ № 1 „კატორღა და ციმბირი“-ს გამოცემაში, რომელშიაც მოთავსებული იყო მოგონებები თებერვლის რევოლიუციის შესახებ, და აგრეთვე საერთო კრების მოწვევაში უშუალო საბჭოს ასარჩევად.

კრებამ მოხსენება მიიღო მხედველობაში და გამოუცხადა ორგბიუროს მადლობა ნაყოფიერი მუშაობისთვის.

საზოგადოების მუშაობის მომავალ გეგმის შესახებ ამხ. ვოდოლაზსკიმ მოახსენა კრებას შემდეგი მოსაზრებანი:

1. საზოგადოების ორგანიზაციის ქსელის გაფართოვება.

2. შეკრება მასალების და მოგონებათა კატორღის, ციმბირის და წარსულ რევოლიუციონურ მოღვაწეობის შესახებ, მათი გამოცემა.

3. კლუბის მოწყობა.

4. სანატორიული დახმარების მოწყობა დაავადებულ წევრებისათვის.

5. შეძლების დაგვარათ ნივთიერი დახმარება საზოგადოების წევრებს და დაღუპულ ამხანაგთა ოჯახებს.

6. სხვადასხვა წარმოებათა მოწყობა საზოგადოებისთვის საჭირო სახსრის გამოსაძებნათ.

მოხსენება მოწონებულ და მიღებულ იქნა კრებისგან ერთხმათ.

საბჭოში არჩეულ იქნენ ამხანაგები: ა. ერქომაიშვილი, ა. ვოდოლაზსკი, ა. რუხაძე, თეოდოროვი და ს. კილაძე.

კანდიდატებათ ამხ. სვეტლოვა და დ. ქარცივაძე.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. ათაბეგოვი ტუმასი, პავლე საყვარელიძე და არაქელ ოქუაშვილი.

საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: სტაროსტათ ამხ. ერქომაიშვილი, მისი მოადგილეთ ამხ. ვოდოლაზსკი, მდივნათ და ხაზინადრათ ამხ. რუხაძე.

საბჭოსთან შექმნა 3 კომისია:

1. რევოლიუციონურ მასალათა შემაგროვებელი და სარედაქციო. თავმჯდომარეთ ამხ. რუხაძე.

2. საგამომცემლო. თავმჯდომარეთ ამხ. კილაძე.

3. წარმოებათა. თავმჯდომარეთ ამხ. ვოდოლაზსკი.

კომისიის წევრები შეიძლება მოწვეულ იქნენ კოოპტაციით.

ა. რ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘ № 148

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს, რომელნიც მუშაობენ სახალხო სწავლა-განათლების ორგანოებში.

ძვირფასო ამხანაგებო!

რამდენიმე თვის უკან მოხდა ხელოვნების და განათლების მუშაკთა კავშირების შეერთება. ამ გაერთიანებულ კავშირის მოწყობა ხდებოდა მეტად მძიმე პირობებში, იმის გამო, რომ იმ სოციალურ ჯგუფის შემადგენლობა, რომელსაც უნდა მოეხდინა კავშირების გაერთიანება, იყო უმთავრესად ინტელიგენტური და უსიცოცხლო. განათლების მუშაკთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა და კავშირში შოვინისტური ელემენტების არსებობა, რომლებმაც მიზნად დაისახეს მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანა, კიდევ უარესად აბრკოლებს კავშირის ბუნებრივ, ნორმალურ განვითარებას და მის მუშაობას.

განათლების მუშაკები უმთავრესად დეკლასიური ინტელიგენტებია, გონებრივად და კულტურულად დაკავშირებულნი კაპიტალისტურ საზოგადოებასთან, მაგრამ სოციალურად ისინი არ არიან დაინტერესებულნი მის დაბრუნებაში, და ამიტომ ჩვენ

2. ადგილობრივი სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებათათვის, (როგორც არის მაგ.: საავადმყოფო, სანატორიუმი, საჯანმრთელო და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულება, ბაგა, დედათა და ბავშვთა სახლი, სანიტარული განათლების დაწესებულება და სხვ.), სამეურნეო და მატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა, რომელსაც შეადგენს: სადგომის დაქირავება, გათბობა-განათება, წყალი, მიმდინარე რემონტი, სისუფთავის დაცვა, საკანცელარიო ხარჯი, თეთრეული, სამეურნეო მოწყობილობა, თეთრეულის გარეცხვა და წვრილი სამეურნეო ხარჯი.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა (სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი: კურორტები, მაჩვენებელი მეცნიერული კვლევისა, საგზაო, წყალთა, რკინისგზისა, სამხედრო, საპატიმრო, საპროტეზო ქარხანა და სანიტარული განათლებისა,—რომელთა განსაკუთრებული სია დამტკიცებული იქნება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ,—და სამედიცინო გამომცემლობა) რჩენა შენახვა მიღებულ უნდა იქნეს მთლად სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

3. რჩენა-შენახვა იმ სამკურნალო სასანიტარო დაწესებულებისა, რომელიც სამსახურს უწევს მხოლოდ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების ფაბრიკა ქარხნების მუშა-მოსამსახურეთ, მიიღება სრულიად სახელმწიფო ხარჯზე; ხოლო ავადმყოფთა შინა-სამაზრო ტრანსპორტი—ადგილობრივ ხარჯზე, ანუ ადგილობრივ კურორტზე გადაყვანისა სანიტარული მატარებლით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **კუბაიძე.**

კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მარტის 20.

ტფილისი—სასახლე.

ᲚᲐᲠᲘᲗ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გაზეთ „ტრიბუნის“ № 168 №-ში შოთავსებულია შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტის, ნ. მარგველაშვილის წერილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალისტურ უზრუნველყოფის კომისიის შესახებ. ავტორი თავისებური „კრიტიკის ჭარაცეცხლში“ ატარებს განათლების კომისარიატის მოქმედებას და სოციალურ უზრუნველყოფის კომისიის მოღვაწეობას. ის მწუხარებით მოთქვამს, თუ როგორი საჭიროებისათვის იხარჯება სახალხო ფული ანრისი მაქნისია ის „პარაზიტული“ კომისია, რომელიც ღებულობს ჯამაგირს და პასუხისმგებელ მუშათა ულუფას.

ერთი სიტყვით მოქ. მარგველაშვილი ძლიერ აუოელვებია განათლების კომისარიატის მოქმედებას და მოუწოდებს ვისგანაც ჯერ არის დამოკიდებული, მიაქციოს ყურადღება ასეთ მოვლენას.

ამიტომ მე მინდა გავაცნო მკითხველს საქმის ნამდვილი ვითარება.

წარსული წლის დეკემბერში განათლების და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატებმა განიზრახეს სტუდენტთა უღარიბეს ნაწილის მატერიალურად უზრუნველყოფა, ისე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. ამ მიზნისთვის განათლების კომისარიატმა დაარსა კომუნისტ-სტუდენტებისაგან შემდგარი ეგრედწოდებული სტუდენტთა სოციალური უზრუნველყოფის კომისია. ამ კომისიის მოვალეობას შეადგენდა სტუდენტთა უღარიბეს ნაწილის აღრიცხვა. კომისია დღიდან თავისი დაარსებისა შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და სულ ერთი თვის განმავლობაში ეს საქმე პირნათლად შეასრულა, ესე იგი მოახდინა რეგისტრაცია ხსენებულ სტუდენტთა და

1. საზოგადოებრივი სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებათათვის, (როგორც არის მაგ.: საავადმყოფო, სანატორიუმი, საჯანმრთელო და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულება, ბაგა, დედათა და ბავშვთა სახლი, სანიტარული განათლების დაწესებულება და სხვ.), სამეურნეო და მატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა, რომელსაც შეადგენს: სადგომის დაქირავება, გათბობა-განათება, წყალი, მიმდინარე რემონტი, სისუფთავის დაცვა, საკანცელარიო ხარჯი, თეთრეული, სამეურნეო მოწყობილობა, თეთრეულის გარეცხვა და წვრილი სამეურნეო ხარჯი.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა (სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი: კურორტები, მაჩვენებელი მეცნიერული კვლევისა, საგზაო, წყალთა, რკინისგზისა, სამხედრო, საპატიმრო, საპროტეზო ქარხანა და სანიტარული განათლებისა,—რომელთა განსაკუთრებული სია დამტკიცებული იქნება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ,—და სამედიცინო გამომცემლობა) რჩენა შენახვა მიღებულ უნდა იქნეს მთლად სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

3. რჩენა-შენახვა იმ სამკურნალო სასანიტარო დაწესებულებისა, რომელიც სამსახურს უწევს მხოლოდ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების ფაბრიკა ქარხნების მუშა-მოსამსახურეთ, მიიღება სრულიად სახელმწიფო ხარჯზე; ხოლო ავადმყოფთა შინა-სამაზრო ტრანსპორტი—ადგილობრივ ხარჯზე, ანუ ადგილობრივ კურორტზე გადაყვანისა სანიტარული მატარებლით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, როგორც დამოუკიდებელი კომისარიატი, და ყველა მისი განყოფილებები შეუერთდეს შრომის სახ. კომისარიატს და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს კუთვნილებისამებრ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

(ს. ა. კ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მარტის 27.

ტფილისი—სასახლე.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის—ნებაყოფლობით სამსახურში გამოცხადებულ დეზერტირების სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ

რათა იმ პირთ, რომელთაც ჯარში სამსახურს ან ჯარში გაწვევას თავი განარიდეს, საშუალება მივცეთ შეიგნონ თავიანთი დანაშაული და ნებაყოფლობითი დაუბრუნდნენ სამხედრო სამსახურს, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს წითელი არმიის ნაწილების საკომანდო შედგენილობის ყოველი თანამდებობის პირი, წითელარმიელი ან სხვა სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც თავისი ნებით დასტოვა ჯარის ნაწილი, აგრეთვე სამეედრო სამსახურში გაწვეული ყველა მოქალაქე, რომელიც დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდა სამხედრო სამსახურისთვის, განთავისუფლებულ იქნეს, როგორც სასამართლოს, ისე დისციპლინარული პასუხისმგებლობისაგან დეზერტირობისათვის,—უკეთუ იგი,—

დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა ამა 1922 წლის აპრილის 10 დე,—ნებაყოფლობით გამოცხადდება თავის ნაწილში ან და სათანადო სამაზრო სამხედრო კომისარიატში.

2. დადგენილება ესე აღსრულებაში მოყვანილ იქნეს ტელეგრაფით.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მარტის 27

ტფილისი—სასახლე.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 4.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებათა ადგილობრივი სახსარით შენახვის წესის შესახებ.

ადგილობრივი დაბეგვრის დებულების თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რსპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს შემდეგ ნუსხას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯების,—რომელიც უნდა მიღებულ იქნეს ადგილობრივ სახსარზე:

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

3 რაიონზე მიმაგრებულ ამხანაგების საყურადღებოდ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-3 რაიონული კომიტეტი ამით წინადადებას აძლევს, იმ ქვემო აღნიშნულ ამხანაგებს, რომელნიც მე-4-ე რაიონიდან მიმაგრებული არიან მე-3 რაიონზე, გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში იმ ადგილებზე, სადაც ისინი მიწერილნი არიან.

სია გამოუცხადებელ ამხანაგებისა:

1) გრიგორი ზახარიანი, 2) ვლადიმერ ჯანანი, 3) ვლადიმერ კობახიძე, 4) ეკ. კონსტანტინოვიჩი, 5) ვართან მარკარიანი, 6) დ. ტერ-აბრამიანი, 7) გიორგი ხაჭაპურიძე, 8) ირაკლი ხომერიკი, 9) სტეფანე სტეფანოვი, 10) ნინა ათანასიევა, 11) ილია წივწივაძე, 12) გ. პეტროსოვი, 13) თეიმურ ალიევი, 14) ლ. ლომთათიძე, 15) ევ. კაფაროვა, 16) კარა აჯი, 17) ნერსეს ნერსესიანი, 18) ალი იუსუფოვი, 19) ვართან პეტროსიანი, 20) სერგო თავალოვი, 21) ნ. ბლაგონრავოვისა, 22) მ. კარგანოვა, 23) ა. ქავთარაძე, 24) ს. მურმანოვი, 25) თუთულჯიანი, 26) ვ. მანველიანი, 27) ვაგნაძე გ., 28) ი. ტერ-აკოპოვი, 29) ვარაძე,